

საქართველოს ეროვნული ნაკრძალების  
ვიზიტორთა კმაყოფილების კვლევა  
(მარტვილი, პრომეთე, სათაფლია)



საქართველოს გარემოს დაცვისა და  
ბუნებრივი რესურსების სამინისტრო

## **კვლევის განმახორციელებელი ორგანიზაცია მონაცემთა კვლევის ჯგუფი**

### **კვლევის განხორციელების ვადები**

2017 წელი. ივლისი - აგვისტო

### **კვლევის მონაწილეთა შერჩევა**

კვლევის სამიზნე პოპულაცია იყო 18 წლის და მეტი ასაკის მქონე დამთვალიერებლები.

კვლევაში ჩაერთნენ ის ვიზიტორები, რომლებიც ეწვივნენ საქართველოს ეროვნულ ნაკრძალებს და ისარგებლეს იქ არსებული სერვისებით.

გამოკითხვა მიმდინარეობდა ინტერვიუერის მიერ ადმინისტრირებადი ქართული, ინგლისური და რუსულენოვანი სპეციალიზებული კითხვარებით. კვლევას ატარებდა 6 ინტერვიუერი.

გამოკითხვა ჩატარდა 238 დამთვალიერებელს, რომელთაგან 43.2% ქართველი ტურისტი იყო, ხოლო 56.8% უცხოელი ტურისტი.

უცხოელ ტურისტთა შორის ყველაზე მეტი წარმომადგენელი იყო შემდეგი ქვეყნებიდან:

- რუსეთი
- ომანი
- არაბეთის გაერთიანებული ემირატები

### **კვლევის შედეგების შეჯამება**

- საკვლევი ჯგუფის საშუალო ასაკი იყო 34.95 წელი, მინიმალური ასაკი 18, მაქსიმალური ასაკი 73 წელი.
- მონაწილეთაგან 53.6% კაცი იყო, ხოლო 46.4% ქალი.
- გამოკითხულთა 92.7% პირველად იყო საქართველოს ეროვნულ ნაკრძალში, 7.3% მეორედ ან/და მეტჯერ. უცხო ქვეყნის მოქალაქეთა 80%-თვის ეს ვიზიტი საქართველოში პირველ ვიზიტს დაემთხვა.

➤ ნაკრძალის შესახებ ინფორმაციის წყაროს განაწილება ასეთია:

- ინტერნეტი და ტელევიზია - 37.5%
- ახლობლები - 33.8%
- ტურისტული სააგენტო - 6.7%.

უცხოელ ტურისტთა 17.4% ნაკრძალის შესახებ ქართველი მეგობრებისაგან შეიტყვეს.

**ნაკრძალების შეფასების ნაწილი**

➤ ნაკრძალის ტერიტორიის სისუფთავე შემდეგნაირად შეფასდა:

- ძალიან სუფთა - 59.2%;
- დამაკმაყოფილებლად სუფთა - 36.6%;
- უსუფთაო - 4.2%.

➤ ტუალეტებით სარგებლობის შემდეგ ვიზიტორთა აზრი ტუალეტების სისუფთავეზე ასეთია:

- უსუფთაო - 53.6%;
- დამაკმაყოფილებელი - 29.7%;
- სუფთა - 7.3%;
- არ უსარგებლია - 9.4%.

➤ პარკში სეირნობისას 88.3% თავს დაცულად გრძნობს, 11.7% ნაწილობრივ დაცულად.

➤ მომუშავე პერსონალის ვიზიტორისადმი დამოკიდებულებას 68.8% ძალიან მეგობრულად აფასებს, 28.6% ნეიტრალურად, ხოლო 2.6% არათავაზიანად.

➤ გამოკითხულთა უდიდესი ნაწილი - 88% - აუცილებლად ურჩევს მეგობრებს ეწვიონ საქართველოს ნაკრძალებს, 12% კი შესაძლოა ურჩიოს.

➤ კითხვას „სერვისის და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით ნაკრძალში შესვლის საფასურის (საქართველოს მოქალაქისთვის 1-3 ლარით, უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის 2-5\$) გაზრდის შემთხვევაში ეწვეოდით თუ არა ნაკრძალს მომავალშიც“ დამთვალიერებლები ასე პასუხებენ:

**ქართველი ტურისტები:**

- აუცილებლად ვეწვეოდი - 61.6%;
- ვეწვეოდი, თუმცა შემიქმნიდა დისკომფორტს - 32.2%;
- აღარ ვეწვეოდი - 6.2%.

**უცხოელი ტურისტები:**

- აუცილებლად ვეწვეოდი - 76%;
- ვეწვეოდი, თუმცა შემიქმნიდა დისკომფორტს - 18.5%;
- აღარ ვეწვეოდი - 5.5%.

- ყველა სერვისის გათვალისწინებით ნაკრძალებში ვიზიტის ქულებით შეფასების სურათი, სადაც 10 ქულა ვიზიტორის დიდ კმაყოფილებას შეესაბამება, ხოლო 0 უკმაყოფილებას, ასეთია:
  - 10 ქულა - 35.3%;
  - 9 ქულა - 25.8%;
  - 8 ქულა - 26.3%;
  - 7 ქულა - 7.9%;
  - 6 ქულა - 2.7%;
  - 5 ქულა - 1%.

- ინტერვიუს ბოლოს გამოკითხულმა ვიზიტორებმა დაასახელეს მათი პირადი იდეები, რომელთა განხორციელებით ნაკრძალი უფრო მიმზიდველი გახდებოდა დამთვალეირებლებისათვის. ეს იდეებია:

#### **მარტვილი**

- დაამატებდა სკამებს, სადაც დამთვალეირებელი შეძლებდა დასვენებას - 20.2%;
- საჭიროა საკვები პუნქტების დამატება - 23.1%;
- პარკის ტერიტორია უნდა გაფართოვდეს და მოეწყოს მეტი სასეირნო ბილიკი - 36.2%;
- ინტერნეტში ხელმისაწვდომი უნდა იყოს განახლებადი ინფორმაცია სერვისების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით - 23%;
- პარკის გარე ტერიტორია უნდა მოწესრიგდეს - 8.6%;
- უნდა დაემატოს ატრაქციონები - 5.7%;
- საჭიროა მომსახურე პერსონალის ინგლისური ენის გაუმჯობესება - 15.7%;
- საჭიროა პანდუსის მოწყობა - 1.73%;
- ადგილობრივი მოსახლეობისთვის პარკში შესვლა უფასო უნდა იყოს - 1.73%.

#### **პრობეთე**

- საჭიროა მომსახურე პერსონალის ინგლისური ენის დონის გაუმჯობესება - 19.2%;
- მღვიმეში არსებულ ბილიკს გაასუფთაებდა - 3.8%;
- მდინარის ნახვა იყოს უბილეთოდ შესაძლებელი - 3.8%;
- მღვიმის ტერიტორიაზე ბანკომატის განთავსება - 3.8%.

#### **სათაფლია**

- საჭიროა მომსახურე პერსონალის ინგლისური ენის დონის გაუმჯობესება - 6.7%;
- შიდა ტრანსპორტი პარკში გადასაადგილებლად - 6.7%;
- მეტი დინოზავრის ჩონჩხი - 6.7%;
- მეტი ექსტრემალური გასართობი საშუალებები - 6.7%.